ნიმუში

ხელოვნების ნაწარმოების გამოყენების ლიცენზიის ხელშეკრულება

31.01.2014 (თარიღი)

ერთის მხრივ, (სახელი, გვარი), მცხოვრები (საცხოვრებელი მისამართი), პირადი ნომერი (ნომერი) (ლიცენზიის გამცემი)

და

მეორეს მხრივ, (ორგანიზაციის დასახელება), (იურიდიული მისამართი), საიდენტიფიკაციო კოდი: (კოდი), წარმოდგენილი (ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი, სახელი, გვარი), (ლიცენზიის მიმღები)

შემდეგში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს შეადგენს ლიცენზიის გამცემის საკუთრებაში არსებული ხელოვნების ნაწარმოები (ელექტრონული ფორმატის ფოტოსურათი, რომლის მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1) (შემდეგში, ხელოვნების ნაწარმოები), რომელზედაც ლიცენზიის გამცემს აქვს ექსკლუზიური საავტორო უფლებები;

1.2. ლიცენზიის გამცემი, ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ლიცენზიის მიმღებს გადასცემს ხელოვნების ნაწარმოების მსოფლიო მასშტაბით ერთჯერადი გამოყენების და განთავსების არაექსკლუზიურ (ჩვეულებრივ), მუდმივ ლიცენზიას (ანდა ჩაწერეთ ლიცენზიის სხვა პირობები).

1.3. ხელოვნების ნაწარმოების გამოყენება გულისხმობს ხელოვნების ნაწარმოების განთავსებას 2013 წლის წლიურ ანგარიშში ელექტრონული და ბეჭდური ფორმით (მაქსიმალური ტირაჟი: 1000 ეგზემპლარი), რომელიც არაკომერციული (უფასოდ) მიზნით, ლიცენზიის მიმღების მიერ შერჩეული ნებისმიერი ფორმით (ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ.) მიეწოდება განუსაზღვრელ პირთა წრეს (ანდა ჩაწერეთ კონკრეტული პირობები).

2. ხელშეკრულების ფასი და ანგარისწორების წესი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ლიცენზიის გადაცემის ღირებულება განისაზღვრება ერთჯერადად გადასახდელი თანხით, (თანხის ოდენობა სიტყვიერად და ციფრული სახით) ლარის ოდენობით, ხოლო გადასახადებს გადაიხდის ლიცენზიის მიმღები.

WWW.PHOTOGRAPHERS.GE

2.2. ლიცენზიის მიმღების მიერ ფასის გადახდა მოხდება სრულად, ნაღდი ანგარიშსწორებით, ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.
2.3. მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის ხელოვნების ნაწარმოები, ელექტრონული ფორმატით ფაქტობრივად გადაეცა მყიდველს.

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. ლიცენზიის გამცემი გარანტიას იძლევა და ადასტურებს, რომ ის წარმოადგენს ფოტოს ერთადერთ ავტორს და მასზე განსაკუთრებული საავტორო უფლებების ერთადერთ მფლობელს.
3.2. ლიცენზიის მიმღები ვალდებულია ხელოვნების ნაწარმოებზე მიუთითოს ლიცენზიის გამცემის სახელი და საავტორო უფლებების დაცვის ნიშანი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (ან სხვა შეთანხმებული პირობა).
3.3. ლიცენზიის მიმღები უფლებამოსილია ლიცენზიის გამცემის წერილობითი თანხმობის გარეშე გამოიყენოს ხელოვნების ნაწარმოები მთლიანად ან ფრაგმენტულად ნებისმიერი ტექსტის თანხლებით, სხვა ფოტოებთან და ნახატებთან ერთად (ან სხვა შეთანხმებული პირობა).
3.4. ხელოვნების ნაწარმოების განმეორებით გამოყენების თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

4. მხარეთა პასუხიმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. კონფიდენციალურობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და მასთან დაკავშირებული დამატებითი შეთანხმებები კონფიდენციალურია და მათი გამჟღავნება დაუშვებელია.

7. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

WWW.PHOTOGRAPHERS.GE

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.

9. დასკვნითი დებულებები

8.1. ლიცენზიის გადაცემასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

ლიცენზიის გამცემი	ლიცენზიის მიმღები
_____	_____

WWW.PHOTOGRAPHERS.GE

დანართი 1

ფოტოსურათის მახასიათებლები

File name	MG1360.tif
Item type	TIF File (.tif)
Size	36,4 MB (38 195 268 bytes)
Date taken	28.03.2008
Dimensions	4368 x 2912
Weight	4368 pixels
Height:	2912 pixels
Horizontal resolution	240 dpi
Vertical resolution	240 dpi
Bit depth	24
Resolution unit	2
Color representation	sRGB
Camera model	Canon EOS 5D

RAPHERS.GE